

საკონკურსო ობიექტის მიწის ნაკვეთი მდებარეობს ჩოხატაურის ცენტრში ნ. დუმბაძის ქუჩაზე. მიწის ნაკვეთი 5748 კვ.მ-ია და გეგმაში მრავალკუთხა ფორმისაა. საკონკურსო ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიზე განთავსებულია ერთსართულიანი და ორსართულიანი შენობები რომლებიც ძირითადად არის სხვადასხვა დანიშნულების კომერციული და საზოგადოებრივი ობიექტები.

შენობის ფასადი გადაწყვეტილია კლასიკურ სტილში, ფასადი იყოფა ორ ნაწილად, პირველი ნაწილი იყოფა მასიური კარნიზით რომელიც ჰორიზონტალური მიმართულებით რკალისებურია და ქმნის რბილ და ჰაეროვან გადასვლას. შესაბამისად დაღარული სვეტების სიმალეები ფასადის პირველ ნაწილში იცვლება და უფრო საინტერესოს ხდის აღსაქმელად. მეორე ნაწილი ფრონტონი წარმოადგენს თაღოვან ფორმას. რომლის კარნიზიც შედარებით მცირეა პირველისგან, შუაში მოთავსებულია „ბორჯღალი“-ს ოქროსფერი ორნამენტი. მთავარ ფასადი და შესასვლელი განთავსდა ნ. დუმბაძის ქუჩის მხარეს. გვერდითი ფასადები ერთმანეთის სიმეტრიულია, გვერდით ფასადის მეორე ნაწილზე განთავსებულია მთელ სიგრძეზე ვერანდა ორივე მხრიდან სიმეტრიულად, უკანა ფასადი ვიწროა სიგანეში წინა ფასადთან შედარებით, და მიშენებული აქვს კიბე. მთლიანი შენობა დაფუძნებულია ცოკოლის სართულზე. სახურავის ფართი გამოყენებულია სამომხმარებლო ფართად და გვერდითა ფასადებიდან ამოჭრილია ღიობებით.

ფასადი გადაწყვეტილია სამ ფერში: ძირითადი ფერი თეთრი, ღია ყავისფერი და ცოკოლის სართული ღია მომწვანო ფერში. ფასადი დამუშავებულია მაღალხარისხიანი წყალმდეფი ფითხით და საღებავით, ცოკოლის სართული, შესასვლელი კიბეები და პანდუსები ქუთაისის გრანიტით ღია მომწვანო ფერში. ვიტრაჟები ალუმინის პროფილის ალათებით ყავისფერი ფერის, მთავარი შესასვლელი კარი ხის ყავისფერი ფერის. სახურავი მეტალო-კრამიტის ფურცლებით სპილენძის ფერის. შიდა ტროტუარი რუხი ფერის ქუთაისის ქვა, შიდა საავტომობილო გზა ბეჭდური ბეტონი მუქი რუხი ფერის.

შენობის კონსტრუქციული ნაწილი კარკასული ტიპისა მონოლითური რკინა-ბეტონის,სვეტების, რიგელების, გადახურვის ფილისა და ლითონკონტრუქციების კომბინაციით. საძირკვლის ტიპისა და კონსტრუქციის საბოლოო შერჩევა მოხდება მას შემდეგ რაც სამშენებლო ტერიტორიაზე ჩატარდება საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა. სამშენებლო ნორმები და წესები-„სეისმომედეგი მშენებლობა“(პნ 01.01-09) მიხედვით დაბა ჩოხატაური მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმურ ნორმას.(MSK64 შკალა).

საკონკურსო შენობის დაგეგმარების დროს გათვალისწინებული იქნა ტექნიკური დავალების მოთხოვნები:

კერძოდ

პირველ სართულზე განთავსდა: 500 კაციანი საკონცერტო დარბაზი სამი იარუსით გათვალისწინებული ხმის იზოლაციით და აკუსტიკური სისტემებით, მოძრავი სცენით რომელიც ასევე გამოდგება კინოფილმების ჩვენებისთვის, დარბაზში სამი ცენტრალური შესასვლელით, შესასვლელი ფოიე რომელიც გამოდგება გამოფენების და ფოტო კონკურსების მოსაწყობად, სველი წერტილები ქალთა და მამაკაცთა, სასადილო კაფე, სცენის უკანა ნაწილში დეკორაციების შესანახი ფართი, გარდერობი, სათავსო, გასახდელი ოთახები ქალთა და მამაკაცთა თავისი სველი წერტილებით და დუშებით, საგრემიორო ოთახი ქალთა და მამაკაცთა, დირექტორის კაბინეტი, ბუღალტერია 2 კაცზე და კომპიუტერის სპეციალისტი, სველი წერტილებით. მეორე სართულზე ასასვლელი კიბე.

მეორე სართულზე განთავსდა; თეატრის დასის სამუშაო ოთახი 15 კაცზე, თეატრის მუზეუმი ერთი ოთახი, ადმინისტრაციის თანამშრომლებისათვის 2 ოთახი 6 კაცზე, სველი წერტილებით.

სახურავის გადახურვის შიდა სივრცე გამოყენებული იქნა: 50 კაციანი სარეპეტიციო დარბაზი, ქორეოგრაფიული ანსამბლის სარეპეტიციო ოთახი 35 კაცზე, მომღერალი ანსამბლის სამუშაო 2 ოთახი 25-25 კაცზე, თავისი სველი წერტილებით. გათვალისწინებული ხმის იზოლაციით და აკუსტიკური სისტემებით. ასევე განთავსდა ტექნიკური ოთახი სადაც მოთავსებულა სავენტილაციო და გაგრილების სისტემები. შესასვლელი და კიბე განთავსდა უკანა ფასადის მხრიდან.

ასევე გათვალისწინებულია საევაკუაციო გასასვლელები, ინვალიდთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანთა შესასვლელი პანდუსები და ადგილები.

შენობის დაგეგმარების დროს გამოყენებული იქნა ევროპული სტანდარტები და ნორმები.

შენობის გეგმარება გადაწყვეტილია ტექნიკური დავალების მიხედვით და აქედან დადგინა გაზარტები: სიგრძე 54.0 მ, სიგანე 36,0 მ, სიმაღლე 16,0 მ.

საპროექტო კ-1= 0,3 (1700 კვ.მ) საპროექტო კ-2= 0,5 (3000 კვ.მ) საპროექტო კ-3= 0,1 (745 კვ.მ)

მიწის ნაკვეთი შემოისაზღვრა ღობეთი მთელ პერიმეტრზე. მიწის ნაკვეთის ტერიტორია მოპირკეთდა, მოეწყო გამწვანება, სკვერი, შადრევანი, შიდა გასასვლელი გზები, ავტოსადგომი 70 მანქანაზე.

შენობის სამშენებლო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს დაახლოებით **1 950 000** ლარს (მილიონცხრაასორმოცდაათათასი ლარი).

გამოყენებული ლიტერატურა;

Автор: [Эрнст Нойферт](#), Строительное проектирование, Издательство: [Архитектура-С](#), ISBN 978-5-9647-0156-9, 3-528-99651-X; 2010 г.